პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის

ო ქ მ ი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
7 ივნისი, 2013

დღის წესრიგი:

1. **სხდომის გახსნა და დღის წესრიგზე შეთანხმება** - ქეთევან ნატრიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

2. პრეზენტაცია დისკუსიისთვის: **პროფესიული განათლების სისტემის ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები** - ანა მჭედლიშვილი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;
   დისკუსია

3. **„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა** - დავით ლომინაშვილი, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
   დისკუსია

4. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის წესისა (პროექტი) და ამ პირთა სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვა** - მარიკა ზაქარეიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ დირექტორი;
   დისკუსია

   დამატებითი საკითხები:

   1. კენჭისყრა - 2014 წლის პროფესიული განათლების წლად გამოცხადების თაობაზე;
   2. ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატური ჯგუფების მომავალი ფუნქციონირების საკითხის განხილვა.

5. **სხდომის შეჯამება და დახურვა** - ქეთევან ნატრიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ნატრიაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
2. ცისნამი საბაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
3. მარინა ჟვანია - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
4. ანა ქუთათელაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
5. მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
6. ნათელა პაპუნაშვილი - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“;
7. გივი კახიშვილი - შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირი;

8. ჟაკო ჯორჯაძე - საქართველოს ბარმენთა ასოციაცია;
9. შორენა ჯაფარიძე - დამოუკიდებელი ექსპერტი;
10. დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი;
11. ლიანა ზამბახიძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
12. ნინო კოპალეიშვილი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
13. მარიკა ზაქარეიშვილი - ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტი;
14. დავით ლომინაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
15. ლაშა საღინაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
16. სოფიო გიორგაძე - სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი;
17. თამარ სამხარაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
18. ანა მჭედლიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
19. გვანცა ტაბატაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
20. მაკა კურდღელია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
21. თეა კვინტრაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
22. ნინო ელბაქიძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
23. რევაზ საყვარელიძე - UNDP;
24. გიორგი ნანობაშვილი - UNDP;
25. კახაბერ ერაძე - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია;
26. ელენე ცხაკაია - GIZ;
27. ვანესა ვოლკელი - GIZ;
28. ნინო ტოგონიძე - GIZ;
29. ნათია კვიციანი - IOM;
30. მაია მიმინოშვილი - სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი;
31. ია კუტალაძე - სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი;
32. თამარ მახარაძე - თსუ;
33. ლაშა ბლიაძე - პროფესიული კავშირების გაერთიანება;
34. მაია ბაგრატიონი - ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტი;
35. ცირა ბარქაია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
36. ნიკოლოზ მესხიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სხდომა გახსნა ქეთევან ნატრიაშვილმა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია ევროკავშირის სექტორული მხარდაჭერის პროგრამის საბოლოო შეფასების შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ 2012 წელს, სექტორული დახმარების პროგრამის ფარგლებში, შეუსრულებელი ვალდებულებების გამო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავდა 1 მლნ. ევროზე მეტ თანხას. სამინისტროს ძალისხმევით ევროკავშირის წარმომადგენლობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება და პირობების შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2013 წლის გაზაფხული. ამ ვადებში სამინისტრომ მოახერხა ყველა ნაკისრი ვალდებულების შესრულება და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად ჩაირიცხება პროგრამით გათვალისწინებული ტრანში.

ქეთევან ნატრიაშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ მოხარულია პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით საბჭოს გაფართოებულ სხდომაში.

პროფესიული განათლების სისტემის ძირითადი პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა ანა მჭედლიშვილმა. პრეზენტაციაში ყურადღება გამახვილდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის ახალი მოდელის შემუშავებისა და პროფორიენტაციის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.

დანიელ დავითაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა ფაქტით, რომ სამინისტრო გეგმავს გაუაზრებელი ცვლილებების დანერგვას სისტემაში და არსებობს რისკი, რომ მიმდინარე წელს სტუდენტთა მიღება ვერ განხორციელდება, რადგან პროფესიული ტესტირების ეროვნულ დონეზე ორგანიზება მნიშვნელოვან ორგანიზაციულ მხადაჭერას მოითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ია კუტალაძემ. აღინიშნა, რომ პროფესიული ტესტირების მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა დაევალა გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რომელსაც აქვს ტესტის შექმნისა და ფართომასშტაბიანი ტესტირებების, ასევე, საგანმანათლებლო კვლევების ადმინისტრირების ძალიან დიდი გამოცდილება. ცენტრის ექსპერტებმა მოამზადეს კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების სისტემა საატესტატო გამოცდებისთვის, ეს ურთულესი და კომპლექსური მეთოდოლოგიური სისტემა მომზადდა უკიდურესად შეზღუდულ დროში – ერთ წელიწადში. გამოცდების ეროვნულ ცენტრს ასევე ფორსირებულად, მოკლე დროში (წელიწადნახევრში), მოუწია თავისი ერთ-ერთი მთავარი პროდუქტის – ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადება და ადმინისტრირება. ცენტრის გამოცდილება და კვალიფიკაცია იმის წინაპირობაა, რომ მომზადდება მეთოდოლოგიურად გამართული შეფასების სისტემა, რომელიც დაეფუძნება ცოდნისა და უნარების კომპლექსურ შეფასებას (საუბარია საბაზო ცოდნასა და სპეციფიკურ უნარებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული პროფესიის დაუფლებისათვის). ამასთან, გამოცდების ეროვნულ ცენტრში მუშაობენ ფსიქოლოგები, რომელთაც აქვთ პროფესიული ორიენტაციისა და შრომის ფსიქოლოგიის სფეროში მუშაობის გამოცდილება. ტესტების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება პროფორინტაციისა და სახელობო პროფესიებისთვის პერსონალის შერჩევის სფეროში არსებულ საერთაშორისო გამოცდილება. რაც მთავარია, ტესტის ფორმატი შემუშავდება ამ სფეროს პროფესიონალებთან და თავად პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენელებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობით.

დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ პროცესის სწორად ორგანიზების შემთხვევაშიც, პროფესიული ტესტირება ვერ იქნება წარმატებული სიახლე, რადგან კოლეჯების პოტენციური კონტიგენტი ვერ შეძლებს რთული ტესტების დაძლევას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტესტი იქნება ძალიან მარტივი და ყველას ექნება შესაძლებლობა მინიმალური ზღვარი გადალახოს, ტესტირების ჩატარების საჭიროება აღარ დადგება. დანიელ დავითაშვილის აზრით, გამოცდების ეროვნული ცენტრი ნაკლებად იცნობს პროფესიული განათლების სფეროს სპეციფიკას და ამდენად, ნაკლებსავარაუდოა აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მომზადდეს რელევანტური ტესტები.

ია კუტალაძის განმარტებით გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის შეფასების ამ მოდელის მომზადებისას ამოსავალი პრინციპი იქნება პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის მაქსიმალური მხარდაჭერა. ამასთან ტესტირების შედეგები უკავშირდება დაფინანსების ქმედითი და ეფექტური სისტემის შექმნას. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა გადანაწილდება იმ აპლიკანტებზე, რომელთაც კონკრეტული სახელობო პროფესიის დაუფლებისათვის მნიშვნელოვან საბაზო ცოდნასა და სპეციფიკურ უნარებში უკეთესი შედეგი ექნებათ. აღსანიშნავია, ისიც რომ დღემდე არსებული პრაქტიკა ითვალისწინებდა დაფინანსების მოსაპოვებლად გამოცდების ჩაბარებას. ამ გამოცდებს სსიპ *განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა* ატარებდა. ამჯერად, ტესტების მომზადებისას გათვალიწინებული იქნება სამიზნე პოპულაციის მახასიათებლები. ტესტის აპრობაციები (საცდელი ტესტირებები) ჩატარდება შესაბამის კონტიგენტზე. ეს საშუალებას მოგვცემს ტესტის საბოლოო სახის ფორმირებისას გავითვალიწინოთ არსებული რელობა. ამავე დროს, საგნობრივი ტესტებში ისეთი დავალებები შევა, რომლებიც აფასებს მინიმალურ საბაზო ცოდნასა და ამ ცოდნის გამოყენების უნარს. რაც შეეხება სპეციფიკური უნარების ტესტს (მაგალითად, მექანიკური უნარების ტესტი, საკანცელარიო უნარების, სივრცითი უნარების ტესტი და სხვ., რომლებიც პროფესიათა გარკვეულ ჯგუფებში სამუშაო მოთხოვნების შესაბამისად გამოიყენება), არ საჭიროებს რაიმე ტიპის სპეციფიურ მომზადებას. ეს იქნება მინიმალური კომპეტენციების შესაფასებელი ტესტირება, რომელიც დაეყრდნობა პროგესიული ორიენტაციისა და სახელობო პროფესიებისათვის პერსონალის შერჩევის სფეროში არსებულ გამოცდილებასა და პრაქტიკას. ტესტური დავალებების

ნიმუშები განთავსდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. ტესტირებამდე ორი დღით ადრე, ყველა აპლიკანტს საშუალება ექნება მონაწილეობა მიიღოს სავარჯიშო ტესტირებაში.

ნათელა პაპუნაშვილის აზრით, სტუდენტთა ორგანიზებული და სწორი შერჩევა მისასალმებელია, მაგრამ აუცილებელია, რომ კოლეჯები პროცესში იყვნენ ჩართულები და პროცედურა იყოს მარტივი. ასევე აღინიშნა, რომ ტესტირების შედეგები მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნება თავად კოლეჯებისთვისაც სასწავლო პროცესის წარმართვისა თუ ორგანიზების კუთხით. გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ცენტრი კოლეჯებს შესთავაზებს დეტალურ ინფორმაციას. კერძოდ, პროფესიული სასწავლებელი შეიტყობს, რა შედეგი აჩვენა კონკრეტულმა აპლიკანტმა ცალკეულ სფეროში. ეს კი ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. ამასთან, გამოცდების ეროვნული ცენტრი კონკრეტული პროფესიული სასწავლებლის მონაცემებს მიაწვდის მხოლოდ ამ სასწავლებელს.

ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ სოციალურ პარტნიორებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე აქტიურად განიხილება მიდგომა, რომ ეროვნულ დონეზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაში ჩაერთონ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, ხოლო კერძო კოლეჯებს მიეცეთ სტუდენტთა დამოუკიდებლად შერჩევის შესაძლებლობა.

მიხეილ კორძახიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დაფინანსება გავრცელდება კერძო კოლეჯებზე, მიზანშეწონილი იქნება მათი ჩართვა ეროვნულ პროფესიულ ტესტირებაში. სხვა შემთხვევაში, კერძო კოლეჯებს არ ექნებათ მოტივაცია, რომ ტესტირებაში ჩაერთონ. თუ სახელმწიფო აირჩევს ხისტ მიდგომას და დაავალდებულებს კერძო კოლეჯებს ამ პროცედურაში მონაწილეობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ უმრავლესობა კერძო კოლეჯებისა დაკარგავს კონტიგენტს და დაიხურება.

ქეთევან ნატრიაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ზრუნავს სისტემის განვითარებაზე და კერძო კოლეჯები წარმოადგენენ სწორედ ამ სისტემის ნაწილს. სამინისტროს მიერ ინიცირებული ერთ-ერთი ცვლილება ითვალისწინებს პროფესიული განათლების მეოთხე/მეხუთე საფეხურზე ჩარიცხვისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის მოხსნას, რაც მნიშვნელოვან ბარიერს ქმნიდა პროფესიულ განათლებაში. კერძო კოლეჯების ასოციაციის მხრიდან არაერთგზის გაკეთდა მომართვა, რომ ამ გამოცდით/ბარიერით კოლეჯები კარგავენ რეალურ კონტიგენტს და ფაქტობრივად გაკოტრების პირას იმყოფებიან. სამინისტრო სრულად იზიარებს სახელმწიფო და კერძო კოლეჯების დამოკიდებულებას აღნიშნული გამოცდის მიმართ და ფიქრობს, რომ მისი მოხსნა გარდაუვალი რეალობაა. ამ ინიციატივას მხარს უჭერს კერძო კოლეჯების ასოციაციაც, რომელმაც არაერთხელ მომართა სამინისტროს შესაბამისი წინადადებით. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა კახა ერაძე, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზოგადი უნარების ტესტის გაუქმება იქნება წინგადადგმული ნაბიჯი სისტემისათვის და კერძო კოლეჯები ამ ინიციატივას მხოლოდ მიესალმებიან. ასევე, პროფესიულ ტესტირებას კერძო კოლეჯებისათვის უნდა ჰქონდეს ნებაყოფლობითი ხასიათი და ამ პროცედურაში ჩართვა უნდა იყოს სახელმწიფო დაფინანსების მიღების წინაპირობა.

ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ კერძო კოლეჯებისათვის სახელმწიფო დაფინანსების გაცემა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იქნება და მანამდე მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატარებელი, დასაგეგმი და განსახორციელებელია ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმა, ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების კუთხით. ამას გარდა, გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების სფეროს ბიუჯეტი და დაფინანსების განაწილების სქემა; ჩამოსაყალიბებელია შრომის ბაზრის კვლევის მექანიზმები, პრიორიტეტები, რომელსაც სამინისტრო განსაზღვრავდა სოციალური პარტნიორების მოსაზრებით სუბიექტურად შერჩეული იყო, ამდენად, სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია, რომ მის საქმიანობასთან დაკავშირებით არ არსებობდეს კითხვის ნიშნები. მოცემულ ეტაპზე მართლაც რთულია პრიორიტეტების

განსაზღვრა რადგან არსებული კვლევები ფრაგმენტულია, არ ხორცელდება შრომის ბაზარზე სისტემური და სისტემატური დაკვირვება. ამდენად, სამინისტრო მზად არის გაითვალისწინოს სოციალური პარტნიორების რეკომენდაცია პრიორიტეტული სპეციალობათა ნუსხის გაუქმების შესახებ, მანამ სანამ არ იარსებებს სანდო ინფორმაცია.

ქეთევან ნატრიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად განსაზღვრავენ სტუდენტთა მიღების წესს პროფესიული განათლების ნებისმიერ საფეხურზე, ეს მიდგომა მნიშვნელოვნად გაზრდის კერძო კოლეჯებში სტუდენტთა რაოდენობას და ხელს შეუწყობს მათი პოზიციების გამაგრებას საგანმანათლებლო ბაზარზე.

დავით ლომინაშვილმა წარმოადგინა ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები. დანიელ დავითაშვილმა წინადადებით მიმართა სხდომის მონაწილეებს, მხარი დაუჭირონ სავალდებულო ავტორიზაციის არა ერთი, არამედ ორი წლით გადავადებას და ეს მიდგომა გავრცელდეს სამინისტროს მიერ დასაფუძნებელ კოლეჯებზეც. წარმოდგენილ ინიციატივას კატეგორიულად არ დაეთანხმა მიხეილ კორძახია და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის გადავადება უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი წლით და უნდა შეეხოს ყველა დაწესებულებას, სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად. აღნიშნულთან დაკავშირებით დავით ლომინაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ერთი წლით გადავადება განპირობებული იყო გადაუდებელი აუცილებლობებით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საკმარისი დრო ეძლევათ ცვლილებებში გასარკვევად და ავტორიზაციის პროცესისათვის მოსამზადებლად. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულფასოვანი ამოქმედება და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ამ პროცედურებში მონაწილეობა. ამდენად, სამინისტრო იზიარებს დამსაქმებელთა ასოციაციისა და სხვა სოციალური პარტნიორების პოზიციას და მიზანშეწონილად არ მიაჩნია ავტორიზაციის ვადის გადაწევა 2015 წლამდე. რაც შეეხება მომავალში დასაფუძნებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის ვადის განსაზღვრას, დავით ლომინაშვილმა განაცხადა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელია იურიდიულ პირს, რომელიც არ არის დაფუძნებული, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებით წინასწარ განესაზღვროს ავტორიზაციის ვადა. ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 20^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იურიდიული პირი მხოლოდ ავტორიზაციის შედეგად იძენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს.

სხდომის მონაწილეთა მხრიდან დაისვა კითხვები პროფესიული განათლების საფეხურებთან დაკავშირებით, რის პასუხადაც ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ნაკარნახევი იყო გადაუდებელი აუცილებლობებით და ამის პარალელურად, სამინისტრო, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მოამზადებს კანონის ცვლილებების სრულ ვერსიას. ამდენად, პროფესიული განათლების საფეხურებთან დაკავშირებული საკითხის განხილვა-გადაწყვეტა აქტიური კონსულტაციების რეჟიმში წარიმართება, შეჯერებული ფორმით აისახება კანონპროექტში და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

დისკუსია გაიმართა პროფესიული განათლების სფეროს დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კითხვამ, უნდა აისახოს თუ არა კანონში სფეროს დაფინანსების კონკრეტული მოდელი და მექანიზმები. სხდომის მონაწილეთა ნაწილის აზრით, დაფინანსების წესი უნდა განსაზღვროს საქართველოს მთავრობამ, რასაც დაეთანხმნენ სამინისტროს წარმომადგენლებიც, ნაწილი კი თვლის, რომ კანონში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მექანიზმების გამოყენებითა და რომელი პროცედურის მეშვეობით მოხდება სტუდენტთა დაფინანსება.

მარიკა ზაქარეიშვილმა ისაუბრა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის გზებზე:

აღინიშნა, რომ აუცილებელია ამ კატეგორიის პირთათვის შესაბამისი პროცედურის შემუშავება და დანერგვა.

დისკუსია გაიმართა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სწავლების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღინიშნა, რომ სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური განათლების მიდგომის დასანერგად. აღნიშნულთან დაკავშირებით ქეთევან ნატრიაშვილმა განაცხადა, რომ სამინისტროს მხრიდან ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა აუცილებლად იქნება მხარდაჭერილი.

ქეთევან ნატრიაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრთა კენჭისყრა 2014 წლის პროფესიული განათლების წლად გამოცხადების თაობაზე ვერ შედგება, რადგან არ არის ქვორუმი. ხოლო ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატური ჯგუფების მომავალი ფუნქციონირების საკითხთან დაკავშირებით არსებობს ერთ-ერთი სოციალური პარტნიორის (სავაჭრო-სამრეწველო პალატა) მოსაზრება, რომ საბჭოს რეფორმირებამდე თემატური ჯგუფების განახლება მიზანშეწონილი არ არის, რაც გაზიარებულია საბჭოს სხვა წევრების მიერაც. სოციალური პარტნიორობის არსებული მოდელის შეფასების, ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებისა და საბჭოს რეფორმირების შემდეგ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგება შესაბამისი თემატური ჯგუფების ფორმირების საკითხი.

ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს სხდომაში მონაწილეობისათვის, მიმდინარე ცვლილებებით დაინტერესებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის.